ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3026649

ნომერი: AR1467749

თარიღი : 29.12.2016

გაცემის თარიღი : 04.01.2017

გაცნობის თარიღი : 04.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა დიმიტრი უზნაძე , N 16-18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი მენთეშაშვილი პ/ნ 01017016550
- ძმ. ზუბალაშვილების ქ.#30/7

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202886172
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვასილი მენთეშაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017016550

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ბაჩანა ბოჭორიშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქ. N5/დ. უზნაძის ქ. N16-18-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე მანსარდის მოწყობის ნებართვის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. ტოპოგეგმასა და გენგეგმებზე შენობები არ შეესაბამება საკადასტრო გეგმას; ასევე წარმოდგენილია ორი ტოპოგეგმა, სადაც სარეკონსტრუქციო შენობის (მონიშნულია როგორც შენობა N2, სკადასტროზე - 9/1) კონფიგურაცია არ შეესაბამება ერთმანეთს;
2. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტში:
- არ არის სრულყოფილი განმარტებითი ბარათი ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური აღწერით, სარეკონსტრუქციო შენობის კორექტულად შესრულებილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით;
- სრულყოფილი ანაზომები და საპროექტო ნახაზები; ამასთან, ნახაზებზე დატანილი უნდა იყოს საკადასტრო საზღვრები, ჭრილის ხაზები;
- დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს განივი და გრძივი ჭრილები (არსებული, საპროექტო);
3. არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტები ერთმანეთის შესაბამისი უნდა იყოს;
4. საპროექტო ფოტომონტაჟებზე არ არის მითითებული ზომები, ნიშნულები და სრულად მასალა, ასევე წარმოდგენილი უნა იქნეს ფოტომონტაჟები არსებულ განაშენიანებაში ჩვენებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გასწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.